




მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ “კავკასიას” შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

29 ოქტომბერი 2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113. ს/კ 424066977) წარმოდგენილი, რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და მეორე მხრივ ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“ (შემდგომში „განათლებისა და კულტურის ცენტრი“) წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარე პროფესორ ავთანდილ მიქაბერიძის სახით, ისწრაფვიან რა მხარეები ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდროდ თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

- ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევების პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება.

მუხლი 2.

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყონ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში

- ა) სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- გ) სამეცნიერო უურნალის გამოცემა;
- დ) საჯარო ლექციების წაკითხვა;
- ე) მხარეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- ვ) ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება, მხარეების მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადანაცვებების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი,
ასოცირებული პროფესორი:
მაკა ბერიძე

ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“
პატისიონის ქ.# 81, ქ. ათენი-104 34, საბერძნეთი
გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი:
ავთანდილ მიქაბერიძე



ავთ. მიქაბერიძე

ΠΟΛΙΤΙΣΤΙΚΟ ΚΕΝΤΡΟ
'Ο ΚΑΥΚΑΣΟΣ'
ΑΣΤΙΚΗ ΜΗ ΚΕΡΔΟΣΚΟΠΙΚΗ ΕΤΑΙΡΕΙΑ
ΟΡΓΑΝΩΣΗ ΠΟΛΙΤΙΣΤΙΚΩΝ ΕΚΔΗΛΩΣΕΩΝ
ΠΑΤΗΣΙΩΝ 81, ΑΘΗΝΑ Τ.Κ. 104 34
ΑΦΜ: 997603701 - ΔΟΥ: ΙΑ' ΑΘΗΝΩΝ